საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზაზა მენთეშაშვილი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.12.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 146/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჭ.-ს /სიითი № ი. ღ./ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ.-სათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჭ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 4 დეკემბერს ადვოკატ ლ. ჭ.-სთან გააფორმა რწმუნებულება. მას ჰქონდა სამოქალაქო დავა, კერძოდ, 50.000 აშშ დოლარად შეიძინა ბინა, ქ.თბილისი, ჭ.-ს გამზ. NX, მე-9 სართულის დაშენება. ბინის გამყიდველმა ის მოატყუა და ბინა დღემდე არ გადაუცია.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს გადასცა 1.000 ლარი, რაც ადვოკატის განმარტებით საჭირო იყო სასამართლოში სარჩელის შესატანად. ადვოკატმა ჰონორარის სახით მოითხოვა 10.000 აშშ დოლარი. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ადვოკატმა ჩუქებით გაიფორმა მომჩივანის ბინის ნახევარი, რომელიც უკან უნდა დაებრუნებინა მას შემდეგ, რაც მომჩივანის საქმეს წარმატებით დაასრულებდა და მიიღებდა კუთვნილ ჰონორარს. ადვოკატმა დამატებით მოითხოვა 150 ლარი აუდიტის ჩასატარებლად. მან ადვოკატს ეს თანხა გაასცა, თუმცა აუდიტი არ ჩატარებულა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ მისი სახელით შეჰქონდა კიდევ ერთი სარჩელი და სჭირდებოდა სახელმწიფო ბაჟის თანხა. ამის შემდეგ ლ. ჭ.-მ გამოსყიდვის უფლებით გააყიდინა სოფელში საცხოვრებელი სახლი, 12 000 ლარად. ამ თანხიდან ლ. ჭ.-მ წაიღო 6.500 ლარი, შუამავლებმა 4.000 ლარი და მას შეხვდა 1.500 ლარი. ადვოკატს სარჩელი სასამართლოში უნდა შეეტანა მეორე დღესვე, რაც არ გააკეთა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან შუამავლებისაგაან მიიღო ინფორმაცია, რომ მათ აიღეს მხოლოდ 1.000 ლარი, შესაბამისად, ადვოკატმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია. მას აქვს ეჭვი, რომ ადვოკატს უნდა მისი სახლის დაუფლება. მომჩივანი განმარტავს, რომ მსესხებელს ყოველთვიურად უხდის 500 ლარს, სახლის გამოსყიდვის ვადა არის 2019 წლის 24 დეკემბერს. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ მისი საადვოკატო საქმიანობა დასრულდებოდა ზაფხულში, შესაბამისად მას არ უნდა დასჭირვებოდა პროცენტის გადახდა და ბინაც უკვე გამოსყიდული უნდა ჰქონდეს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ატყუებს, თვეების მანძილზე ვერ ახერხებს მასთან დაკავშირებას, ადვოკატს მუდმივად გამორთული აქვს ტელეფონი. აღმოჩნდა, რომ ადვოკატს შეტანილი არ ჰქონდა მის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხა, რის გამოც მოსამართლემ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში, ეს მოხდა 2019 წლის 26 სექტემბერს, მაშინ როდესაც მას სარჩელი წარმოებაში მიღებული ეგონა ჯერ კიდევ 2019 წლის 25 ივლისს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატს საჩივარი გაეგზავდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან ბაზაში მითითებულ მისამართზე. საჩივარი ჩაიბარა მისმა მეუღლემ, რომელმაც კომისიას წერილობით აცნობა, რომ ადვოკატი ლ. ჭ. იმყოფება საზღვარგარეთ და მოკლებულია შესაძლებლობას უპასუხოს ზ. მ.-ს პრეტენზიებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ჭ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №ი. ღ./, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ზ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 25 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2018 წლიდან დღემდე. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ს მიმართ დებულების 22.1.(ბ) მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2020 წლის 25 თებერვალს საჩივრის ავტორმა ზ. მ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატ ლ. ჭ.-ს მიმართ აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (დებულება, მუხლი 22.1(ბ)).

5.3 შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ლ. ჭ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება. საჩივრის ავტორს განემარტოს, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს (ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით) მომართოს ეთიკის კომისიას იმავე მხარის მიმართ, იმავე საფუძვლით, რადგან ეთიკის კომისიამ აღნიშნული დისციპლინური საქმე შეწყვიტა არსებითი განხილვის გარეშე.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 22.1.(ბ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N146/19 ადვოკატ ლ. ჭ.-ს /სიითი No. ღ./ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/